GOV 2 24 00032393

28/11/2024

მოქალაქე ანა მიქატაძეს
ელფოსტა: foi+request-3278-6e1421d1@askgov.ge

ქალბატონო ანა,

თქვენ მიერ 2024 წლის 26 ნოემბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენილი N32202 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მართვის ქვეშ არსებული საგარეო დახმარების ინფორმაციული მართვის სისტემა (ხელმისაწვდომია **www.eaims.ge**-ზე) შეიცავს ინფორმაციას 2015 წლიდან დღემდე დონორული დაფინანსებით მიმდინარე/დასრულებული პროექტების შესახებ. აღნიშნული მონაცემთა ბაზა საჯაროა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სხვადასხვა ფილტრის გამოყენებით (მათ შორის, OECD ქვესექტორების, დონორებისა და მიმღებების მიხედვით) ჩამოტვირთოს ბაზაში არსებული მონაცემები.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის ასახვა ხორციელდება თავად განვითარების პარტნიორების მიერ, რომელთა თხოვნის საფუძველზე დახმარების „მიმღების“ ველის შევსება არასავალდებულოა, შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში რჩება შეუვსებელი.

პატივისცემით,

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
სიჭინავა სოფიო